ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 8406/01
26/09/2018

8406-01-2-201809261807

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარეს

ბატონ **ვალერიან მჭედლიძეს**

ბატონო ვალერიან,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2018 წლის 25 სექტემბრის № 1365 წერილი, სადაც გვაცნობებთ, რომ რომ სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს განსაზღვრული აქვს სარგებლობის უფლებით გასცეს:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ბანოჯაში, სათაფლიის აღკვეთილის ტერიტორიაზე განთავსებული იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზი (151,6 კვ.მ); ადმინისტრაციული შენობის პირველი და მეორე სართულები (314,9 კვ.მ);(მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N29.03.34.008) და საკონფერენციო დარბაზში არსებული მოძრავი ნივთები, შემდეგი სააუქციონო პირობებით:

- სარგებლობის ვადა 20 (ოცი) წელი;

- საწყისი სააუქციონო ფასი განისაზღვროს ყოველწლიური ბრუნვის 10%-ის ოდენობით, ამასთან ქონების სარგებლობის ყოველწლიური საზღაური არ უნდა იყოს გადაცემის მომენტისათვის დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) შესაბამისი დასკვნით განსაზღვრული ქონების ღირებულების 1,5%-ზე ნაკლები;

- აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია სარგებლობის უფლებით გადაცემულ ქონებაზე განახორციელოს არანაკლებ 200 000 (ორასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიცია.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, განხორციელებული იქნას წერილში მოთხოვნილი ქმედებები, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოადგილე